საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემების

ანალიზი 2010-2022

Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, Luminate-ის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ანალიზში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.

ძირითადი მიგნებები

- 2010-2022 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოებში ყველაზე მეტი (19,361) სისხლის სამართლის საქმე შევიდა 2022 წელს.

- 2022 წელს წინა წელთან შედარებით სასამართლოებში შესული სისხლის სამართლის საქმეების რიცხვი 16,3%-ით, ხოლო განხილული საქმეების რიცხვი 20,3%-ით გაიზარდა.

- 2022 წელს განაჩენის გამოტანით დასრულებული საქმების 68,4%-ში (11,865 საქმე) გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმებების ყველაზე მაღალი წილი (89,1%) 2013 წელს იყო.

- 2022 წელს გამამართლებელი განაჩენების (9,5%) და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების (4,3%) პროცენტული წილი, 2010-2022 წლებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

- 2022 წელს, საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობის შედეგად სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა 4,830 პირს (38,5%), ხოლო 7,711 პირს გირაო და სხვა არასაპატიმრო ღონისძიება (61,5%). პატიმრობის შეფარდების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი 2013 წელს იყო - 26,8%.

- 2013 წლის შემდეგ, 2020 წლამდე სააპელაციო სასამართლოების მიერ განაჩენის უცვლელად დატოვების (სტაბილურობის) პროცენტული მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა და 2020 წლის მდგომარეობით 87,5% შეადგინა. 2022 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 83,8%-მდე არის შემცირებული.

- 2022 წელს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრით შევიდა 1,358 საქმე, რაც წინა წლის მაჩვენებელს 25%-ით აღემატება. უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში 2022 წლის სტაბილურობის მაჩვენებელი (95,2%) ერთ-ერთი ყველაზე მაღალია 2010-2022 წლებში.

- 2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შევიდა 14,152 ადმინისტრაციული საქმე, რაც წინა წელთან შედარებით 8,6%-ით მეტია;

- 2022 წელს განხილული ადმინისტრაციული საქმეების 67,8% (5819 საქმე) დამთავრდა ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ, 32% (2,746 საქმე) ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ, ხოლო 0,2% (18 საქმე) მორიგებით.

- 2018 წლის შემდეგ ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულებული ადმინისტრაციული დავების მაჩვენებელი მცირდება. მაგალითად, 2012-2017 წლებში ეს მაჩვენებელი 40%-დან 63%-მდე მერყეობდა, ხოლო 2018-2022 წლებში 29%-დან 35%-მდე.

- მიუხედავად იმისა, რომ პირველ ინსტანციაში ადმინისტრაციული საქმეების უმრავლესობა მთავრდება ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ, 2021-2022

წლებში სააპელაციო ინსტანციას უფრო ხშირად ადმინისტრაციული ორგანოები მიმართავდნენ, ვიდრე ფიზიკური და იურიდიული პირები.

- 2022 წელს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 13,645 პირს, რაც 2021 წელთან შედარებით 46,9%-ით მეტია.

- 2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შევიდა 97,557 სამოქალაქო საქმე, ხოლო განხილულია 46,494 საქმე.

- 2021-2022 წლებში სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე დაახლოებით იმდენივე პირს ეთქვა უარი, რამდენსაც 2010-2020 წლებში ერთად.

- ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებების ძალაში დატოვების მაჩვენებელი სამოქალაქო საქმეებთან შედარებით, ადმინისტრაციულ საქმეებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე უფრო მაღალია.

შესავალი

საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები სტატისტიკას აწარმოებენ უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული სტატისტიკური ფორმების მიხედვით, რომელიც იგზავნება უზენაეს სასამართლოში. თავის მხრივ, უზენაესი სასამართლო სტატისტიკურ ფორმებში ასახული მონაცემების მიხედვით ამუშავებს სტატისტიკურ ანგარიშებს.

წლების განმავლობაში, უზენაესი სასამართლო საკუთარ ვებ-გვერდზე კვარტალურად აქვეყნებდა საერთო სასამართლოების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს, ხოლო ყოველწლიურად გამოსცემდა სტატისტიკური მონაცემების კრებულს „მართლმსაჯულება საქართველოში“, სადაც უფრო დეტალურად იყო წარმოდგენილი საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები. უზენაესი სასამართლოს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკური ანგარიშების მომხმარებლისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისთვის, IDFI-ს მიერ შემუშავდა პროგრამული საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ვიზუალიზაციას და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებად ფორმატში ხელმისაწვდომობას. 2021 წლის შემდეგ უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი შეფერხებით მიმდინარეობდა. აღნიშნული სავარაუდოდ დაკავშირებული იყოს უზენაესი სასამართლოს ახალი ვებ-გვერდის და სტატისტიკის წარმოების ახალი პროგრამული სისტემის დანერგვის პროცესთან.

2023 წლის 23 თებერვალს IDFI-მ საქართველოს უზენაესს სასამართლოს მიმართა 2021 და 2022 წლების იმ სტატისტიკური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც პროაქტიულად არც ძველ და არც ახალ ვებ-გვერდზე არ იყო ხელმისაწვდომი. 2023 წლის 12 აპრილს, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ , უზენაესმა სასამართლომ IDFI-ს მოაწოდა 2022 წლის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები და 2021 წლის სტატისტიკური კრებული „მართლმსაჯულება საქართველოში“, ხოლო 2022 წლის „მართლმსაჯულება საქართველოსთან“ დაკავშირებით ინსტიტუტს განუმარტა, რომ აღნიშნული მონაცემები

დამუშავების პროცესში იყო. IDFI-სთვის სტატისტიკური ანგარიშების მოწოდების შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტები უზენაესმა სასმართლომ, ასევე გამოაქვეყნა საკუთარ ახალ ვებ-გვერდზე.

დღეის მდგომარეობით, 2022 წლის სასამართლო სტატისტიკა ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. შესაბამისად, ქვემოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილია 2010-2022 წლების ამ მონაცემების ტენდენციების ანალიზი, სასამრთლო საქმეების კატეგორიების მიხედვით.

სისხლის სამართლის საქმეები

2022 წელს პირველი ინსტანციის (საქალაქო და რაიონული სასამართლოები) სასამართლოებში შევიდა 19,361 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო განხილულია 17,995 საქმე. 2022 წელს წინა წელთან შედარებით შემოსული სისხლის სამართლის საქმეების რიცხვი 16,3%-ით, ხოლო განხილული საქმეების რიცხვი 20,3%-ით გაიზარდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2022 წელს I ინსტანციის სასამართლოებში შემოსული და განხილული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა 2010-2022 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე ცოტა (9133) სისხლის სამართლის საქმე სასამართლოებში შევიდა 2012 წელს, რაც 2022 წლის მაჩვენებელს დაახლოებით ორჯერ ჩამოუვარდება.

2022 წელს სასამართლოებში შესულ 19,361 სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს 21,984 პირი.



2022 წელს განხილული 17,995 სისხლის სამართლის საქმიდან 17,356-ზე გამოტანილია განაჩენი, 411 საქმე შეწყდა, ხოლო 228 საქმე დაუბრუნდა პროკურატურას. განაჩენის გამოტანით დასრულებული საქმების 68,4%-ზე (11,865 საქმე) გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება. 2010-2022 წლებში განაჩენის გამოტანით დასრულებულ საქმეებში საპროცესო შეთანხმებების ყველაზე მაღალი წილი (89,1%) 2013 წელს იყო. 2014 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 62%-დან 70%-მდე მერყეობს.



2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად განიხილა (ის საქმეები რომელზეც არ გაფორმებულა საპროცესო შეთანხმება) 5,902 საქმე, საიდანაც 560 საქმეზე (633 პირი) დადგა გამამართლებელი განაჩენი, 251 საქმეზე (297 პირი) ნაწილობრივ გამამართლებელი, 411 საქმის განხილვა შეწყდა, ხოლო დანარჩენ 4,680 საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

2022 წელს გამამართლებელი განაჩენების (9,5%) და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების (4,3%) პროცენტული წილი, 2010-2022 წლებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში 2022 წელზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ 2019 წელს, როცა გამამართლებელი განაჩენების წილი შეადგენდა 10,3%-ს, ხოლო ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების წილი 4,5%-ს. 2010 წელს გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი მხოლოდ 0,2%-ს შეადგენდა, ხოლო 2011 წელს 2,5%-ს ეს მაჩვენებელი, 2012 წელს 7,8 პროცენტამდე გაიზარდა, 2013-2017 წლებში 2%-დან 4,5%-მდე მერყეობდა, ხოლო 2018 წლის შემდეგ 7,9%-დან 10,3%-მდე მერყეობს.



2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული საქმეების შედეგად, სულ მსჯავრდებულია 18,850 პირი, საიდანაც 4,128 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, 9,785 პირს - პირობითი მსჯავრი, 3,758 პირს - ჯარიმა, ხოლო 988 პირს - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. 2022 წელს წინა წელთან შედარებით, მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა 22,3%-ით გაიზარდა.

2022 წელს, მსჯავრდებულ პირებს შორის სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი 21,9%-ია, რაც 2010-2022 წლებში ყველაზე დაბალი შედეგია.





2022 წელს, საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობის შედეგად სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 12,541 პირს. მათ შორის, 4,830 პირს შეეფარდა პატიმრობა ხოლო 7,711 პირს გირაო და სხვა არასაპატიმრო ღონისძიება. 2010-2022 წლებში აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების ყველაზე დაბალი პროცენტული

მაჩვენებელი 2013 წელს იყო - 26,8%. 2019-2020 წლებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად - 47%-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წელს 38%-ს შეადგენს.



2022 წელს სააპელაციო სასამართლოებში სულ შევიდა 3,301 სააპელაციო საჩივარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 10.1%-ით აღემატება. სააპელაციო სასამართლოებმა განიხილეს 3,320 საქმე, საიდანაც ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა ან შეიცვალა 521 საქმეზე (16,2%). მათ შორის, გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა მხოლოდ 23 საქმეზე , ხოლო სასჯელი შემსუბუქდა 228 შემთხვევაში. 2,699 საქმეზე (83,8%) ქვედა ინსტანციის განაჩენი უცვლელი დარჩა.

2022 წელს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრით შევიდა 1,358 საქმე, რაც წინა წლის მაჩვენებელს 25%-ით აღემატება. უზენაესმა სასამართლომ განიხილა 1,342 საქმე, საიდანაც ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა ან შეიცვალა 65 საქმეზე (4,8%).

2013 წლის შემდეგ, 2020 წლამდე სააპელაციო სასამართლოების მიერ განაჩენის უცვლელად დატოვების (სტაბილურობის) პროცენტული მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა და 2020 წლის მდგომარეობით 87,5% შეადგინა. 2022 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 83,8% მდე არის შემცირებული. უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში 2022 წლის სტაბილურობის მაჩვენებელი (95,2%) ერთ-ერთი ყველაზე მაღალია 2010-2022 წლებში.



ადმინისტრაციული საქმეები

2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შევიდა 14,152 ადმინისტრაციული საქმე, ხოლო განხილულია 9214 ადმინისტრაციული საქმე. წინა წელთან შედარებით სასამართლოებში შესული ადმინისტრაციული საქმეების რიცხვი 8,6%-ით, ხოლო განხილული საქმეების რიცხვი 5,2%-ით გაიზარდა. 2010-2020 წლებში, ყველაზე მეტი (19,361 საქმე) ადმინისტრაციული საქმე სასამართლოებში შევიდა 2015 წელს.

2022 წელს, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის მიმართ გამოტანილია 25,420 დადგენილება, მათ შორის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 13,645 პირს. 2021 წელთან შედარებით სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მაჩვენებელი 46,9%-ით გაიზარდა.



2022 წელს განხილული ადმინისტრაციული საქმეებიდან 6283 სარჩელი შეტანილია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, ხოლო 2931 სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. 2022 წელს განხილული საქმეების 67,8% (5819 საქმე) დამთავრდა ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ, 32% (2,746 საქმე) ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ, ხოლო 0,2% (18 საქმე) მორიგებით.

2010-2020 წლებში, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულებული ადმინისტრაციული დავების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 63,3% 2013 წელს იყო. 2014-2017 წლებში ეს მაჩვენებელი 40%-დან 55%-მდე მერყეობდა, ხოლო 2018 წლის შემდეგ მხოლოდ 29%-35%-ის ფარგლებში მერყეობს.

2022 წელს ინსტანციის სასამართლოებმა, ასევე განიხილა 1345 საგადასახადო დავა. მსგავსი დავების 72% დამთავრდა საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, ხოლო 28% ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ. წინა წელთან შედარებით, ფიზიკური და იურიდული პირების სასარგებლოდ დასრულებული საგადასახდო დავების წილი 4%-ით შემცირდა, თუმცა ეს მაჩვენებელი, მაინც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია 2010-2022 წლებში.





სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილული სააპელაციო საჩივრების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველ ინსტანციაში ადმინისტრაციული საქმეების უმრავლესობა მთავრდება ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ, 2021-2022 წლებში სააპელაციო ინსტანციას უფრო ხშირად ადმინისტრაციული ორგანოები მიმართავდნენ, ვიდრე ფიზიკური და

იურიდიული პირები. მაგალითად, 2022 წელს განხილული 2,376 სააპელაციო საჩივრიდან 1,147 შეტანილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, 1,120 საჩივარი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, ხოლო 109 საჩივარი ორივე მხარის მიერ.



2022 წელს სააპელაციო ინსტანციაში განხილული საჩივრების 79,5%, ხოლო საკასაციო ინსტანციაში განხილული საჩივრების 91.3% უცვლელი დარჩა. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში განხილული ადმინისტრაციულ საქმეების შედეგად ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით ნაკლებად იცვლება.



სამოქალაქო საქმეები

2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შევიდა 97,557 სამოქალაქო საქმე, ხოლო განხილულია 46,494 საქმე. სასამართლოებში შემოსულ და განხილულ სამოქალაქო საქმეებს შორის არსებული სხვაობა, განპირობებულია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის მაღალი მაჩვენებლით. კერძოდ, 2022 წელს სასამართლოების მიერ უარი ეთქვათ 51,892 სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის მაჩვენებელი ასვე მაღალი იყო 2021 წელს- 40,458 საქმე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021-2022 წლებში სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე დაახლოებით იმდენივე პირს ეთქვა უარი, რამდენსაც 2010-2020 წლებში ერთად.

სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. მაგალითად, უარის თქმის მიზეზი შეიძლება იყოს თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას, არსებობს განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მორიგების დამტკიცების შესახებ, საქმე ადრესატი სასამართლოს განსჯადი არ არის და სხვა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა დათქმას, რომლის მიხედვით სარჩელის განსახილველად მიუღებლობის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო ამავე კოდექსის 178-ე მუხლით (სარჩელის შინაარსი) დაწესებული მოთხოვნების დარღვევა, რაც წარმოშობდა ისეთი სარჩელების განსახილველად არ მიღების შესაძლებლობას, რომელშიც დაშვებული ხარვეზი დაზუსტებადი იყო, ახალი სარჩელის წარდგენის გარეშეც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით, 2023 წლის 1 ივლისიდან აღნიშნული ნორმა უქმდება, რაც შემდეგ წლებში სავარაუდოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს როგორც შესული საქმეების, ასევე, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის მაჩვენებელს.





2022 წელს სააპელაციო ინსტანციაში განხილული საჩივრების 73%, ხოლო საკასაციო ინსტანციაში განხილული საჩივრების 86.6% უცვლელი დარჩა. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში განხილული სამოქალაქო საქმეების შედეგად ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით ნაკლებად იცვლება. ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებების ძალაში დატოვების მაჩვენებელი

სამოქალაქო საქმეებთან შედარებით, ადმინისტრაციულ საქმეებზე და სისხლის სამართლის საქმეებზე უფრო მაღალია. მაგალითად, 2022 წელს სისხლის სამართლის საქმეებზე სააპელაციო საჩივრების სტაბილურობის მაჩვენებელი სამოქალაქო საქმეების მაჩვენებელს 10.8%-ით, ხოლო საკასაციო საჩივრებზე - 8,6%-ით აღემატება.



დასკვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული ძირითადი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს რომ, 2022 წელს წინა წელთან შედარებით სამივე კატეგორიის საქმეებზე სასამართლოზე მიმართვიანობის რიცხვი გაზრდილია.

2010 წლის შემდეგ, სასამართლოებში შესული სისხლის სამართლის საქმეების 2022 წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, გარკვეულწილად ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო 5 წელში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენების წილი, რაც ერთის მხრივ შესაძლებელია განპირობებული იყოს სასამართლოს მიერ ბრალეულობის დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების სტანდარტის ამაღლებით, ხოლო მეორეს მხრივ

საგამოძიებო უწყებების მიერ არაკვალიფიციურად წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის ზრდით.

მიუხედავად იმისა რომ, 2022 წელს სასამართლოების მიერ სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ისტორიულად ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა, კვლავ მაღალია საგამოძიებო ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის გამოყენება. მაგალითად 2013 წელს, აღკვეთის ღონისძიებებში პატიმრობის წილი 26,8%-მდე შემცირდა, თუმცა მომდევნო წლებში კვლავ მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2022 წელს წინასწარი პატიმრობა უფრო მეტ პირს შეეფარდა ვიდრე მსჯავრდებული პირებს სასამართლო განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

ადმინისტრაციული დავების შემთხვევაში, განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს 2018 წლის შემდეგ ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულებული დავების შემცირებული და სააპელაციო სასამართლოებში უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილებების გაზრდილი მაჩვენებლები. აღნიშნულ ფონზე, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების მაღალი მაჩვენებლები, გარკვეულწილად მათ მიერ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დავების წარმოებისას სახელმწიფო რესურსის მაქსიმალურ გამოყენებაზე მიუთითებს.

2021-2022 წლები ასევე, გამორჩეული იყო სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის მაღალი მაჩვენებლებით. კერძოდ, 2021-2022 წლებში სამოქალაქო სარჩელის მიღებაზე დაახლოებით იმდენივე პირს ეთქვა უარი, რაც 2010-2020 წლებში ერთად. აღნიშნულ სტატისტიკას, სავარაუდოდ შემდეგ წლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომლის, მიხედვით გაუქმდა ცალკეული ნორმები რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.